პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. კ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 13 სექტემბერი, 1944 წ. № 186 (7139). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

სანიმუშოდ მოვაწყოთ სამხედრო სწავლება სკოლებში. მოწინავე (1-ლი გვერდი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან. 12 სექტემბრის ოპერატიული ცნობა (1-ლი გვერდი).

დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება საბჭოთა კავშირსა და ერაყს შორის. (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა არმიის გენერალ თ. ი. ტოლბუხინისათვის საბჭოთა კავშირის მარშლის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ. (1-ლი გვერდი).

რესპუბლიკური თათბირი ოსური ქალებისათვის, ბრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის საცხოვრებლიანი ბინების საკითხებზე. (მე-2 გვერდი).

ა. მალიგაშვილი. ბრძოლები კარპატის მთებში. (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება. (მე-2 გვერდი).

უცხოეთის ამბები. მდგომარეობა ბულგარეთში. ბულგარეთის პრემიერ-მინისტრის კიმონ გეორგიევის გამოსვლა. საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში. ბრძოლები იუგოსლავიაში. (მე-2 გვერდი).

უკანასკნელი ცნობები. (1-ლი გვერდი).

სანიმუშოდ მოვაწყოთ სამხედრო სწავლება სკოლებში

საბჭოთა სკოლის მოვალეობაა აღზარდოს ჩვენი ბავშვები არა მარტო მცოდნე და კულტურულ მოქალაქეებად, არამედ აგრეთვე ფიზიკურად ამტანი, გამოწრთობილ, მამაც პატრიოტებად, ჩვენი დიადი სამშობლოს უნარიან დამცველებად. ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტას ყოველმხრივ ხელს უწყობს მოსწავლეთა სამხედრო სწავლება.

სამხედრო სწავლება სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის განუყოფელი ნაწილია. იგი სერიოზულ ფაქტორს წარმოადგენს მოსწავლეთა შორის დისციპლინის განმტკიცების, მათი შეგნების, პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გრძნობის ამაღლების საქმეში. სამხედრო სწავლების პროგრამა ითვალისწინებს მისცეს მოსწავლე ვაჟებს დაწყებითი და წვევამდე სამხედრო ცოდნა, მოამზადოს სანიტარი, რადისტი, ტელეფონისტი და ტელეგრაფისტი ქალები.

საქართველოს სკოლებში მოსწავლეთა სამხედრო აღზრდის დარგში მნიშვნელოვანი მუშაობა არის ჩატარებული. ამ მუშაობის შედეგები გვიჩვენა მოსწავლეთა საზაფხულო საბანაკო შეკრებებმა. მრავალი ათასი მოსწავლე იყო გაყვანილი საბანაკო შეკრებაზე სამხედრო ცოდნის განამტკიცებლად და საბრძოლო პრაქტიკული ჩვევების მისაღებად. საბანაკო შეკრებებმა დაგვანახვა, რომ, ჯერ ერთი, მოსწავლეები დიდ სურვილსა და უნარს იჩენენ დაეუფლონ სამხედრო საქმეს, მეორეც, მოსწავლეთა უმრავლესობას კარგი სამხედრო მომზადება აქვს.

მაგრამ საბანაკო სწავლების პერიოდში გამომჟღავნდა აგრეთვე სერიოზული ნაკლოვანებანი მოსწავლეთა სამხედრო სწავლების ორგანიზაციაში. ცალკეულ სკოლებში მოსწავლეთა სამხედრო სწავლებას და ფიზკულტურულ-სპორტულ მომზადებას არასაკმაო ყურადღება ექცეოდა. ზოგიერთ მოსწავლეს სრულიად არა აქვს საჭირო სამხედრო ჩვევები, არ იცნობს იარაღს, უბრალო ტაქტიკურ ამოცანასაც ვერ სჭრის. ახალ სასწავლო წელს სკოლებმა უნდა გამოასწორონ ეს ნაკლოვანებანი.

მალე ჩვენი სკოლების უფროს კლასებში მეცადინეობა დაიწყება. სკოლები გაცხოველებით ემზადებიან იმისათვის, რომ ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ სწავლის დაწყებას. მზადების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ყველა იმ საკითხის გადაჭრას, რაც დაკავშირებულია სკოლებში სამხედრო სწავლების გაუმჯობესებასთან.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს სკოლების დაკომპლექტებას მომზადებული და გამოცდილი სამხედრო ხელმძღვანელთა კადრებით. ყველა სკოლა ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი სამხედრო ხელმძღვანელებით, ფიზკულტურის მასწავლებლებით. საქართველოს სკოლებს დღეისათვის აკლიათ 400-ზე მეტი სამხედრო ხელმძღვანელი. გასულ სასწავლო წელს ადგილი ჰქონდა სამხედრო ხელმძღვანელთა და ფიზკულტურის მასწავლებელთა კადრების დიდ დინადობას. საკმარისია ითქვას, რომ საქართველოში ერთი წლის განმავლობაში სამხედრო ხელმძღვანელთა სხვა სამუშაოზე გადაყვანის 800-მდე შემთხვევა იყო. კადრების ასეთ ცვალებადობას ბოლო უნდა მოეღოს. ამის გარეშე შეუძლებელია სამხედრო სწავლების ხარისხის ამაღლება.

სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები, სკოლების ხელმძღვანელები სამხედრო კომისარიატებთან ერთად ვალდებულნი არიან სასწრაფოდ შეარჩიონ საძხედრო ხელმძღვანელთა კადრები, მოიზიდონ სკოლაში სამამულო ომის ფრონტებიდან დაბრუნებული მეთაურები, სკოლებში დააბრუნონ სხვა დაწესებულებებში გადაყვანილი კადრები. სამხედრო ხელმძღვანელთა არსებულ კადრებს პედაგოგიური ცოდნის გაღრმავება ესაჭიროებათ. ამ საქმეში მათ უნდა დაეხმარონ განათლების ორგანოები, სკოლის პედკოლექტივი.

მეორე, რასაც ამჟამად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს, ეს არის სკოლებთან სამხედრო კაბინეტების, სასპორტო დარბაზებისა და მოედნების მოწყობა და მათი უზრუნველყოფა მატერიალური ბაზით. ზოგიერთი აღგილას ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს ნაკლები ყურადღება ექცევა. ქარელის საშუალო სკოლაში შარშან სკოლის რემონტის დროს სამხედრო კაბინეტის შეკეთება დაავიწყდათ. კაბინეტი შეკეთებულ იქნა მხოლოდ ზამთარში. სკოლების უმრავლესობაში კაბინეტები სანახევროდაც არ არიან უზრუნველყოფილი სამხედრო სწავლებისათვის საჭირო ხელსაწყოებით და მასალებით, მაშინ როდესაც ამ მიზნით სახელმწიფოს მიერ გაღებული თანხები შეტწილად აუთვისებელი რჩება. ხშირია სასპორტო დარბაზებისა და მოედნების არადანიშნულებისამებრ გამოყენება. ხარაგოულის საშუალო სკოლის ეზოში ბოსტანია გაშენებული. ბორჯომის საშუალო სკოლის სასპორტო მოედნისათვის ვარგისი საუცხოო ეზო სასიმინდედ მოხნა სხვა ორგანიზაციამ. თბილისის მოლოტოვის რაიონის ორი სკოლის ეზო გადაქცეულია ბოსტნად.

სასწრაფოდ უნდა მოვიყვანოთ წესრიგში სკოლებთან არსებული სამხედრო კაბინეტები, სასპორტო დარბაზები და მოედნები. შეიენილ უნდა იქნას საჭირო ინვენტარი. საჭიროა სკოლებმა მეტი ინიციატივა გამოიჩინონ ინვენტარის ადგილობრივ დასამზადებლად. ამ საქმეში მათ უნდა დაეხმარონ კოჰკავშირის ორგანიზაციები. წელს საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა ადგილობრივ კომკავშირულ ორგანიზაციებს ყოველ სამზადონ სკოლების სამხედრო კაბინეტებისათვის ხის თოფები, გრანატები, მორზეს გასაღებები, სამიზნე დაზგები, სასანგრო ნიჩბები და სხვ. ამ დავალების შესრულება არ უნდა დავაყოვნოთ.

ახალგაზრდა თაობის სამხედრო მომზადებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს დღეანდელ პერიოდში. უმაღლესმა მთავარსარდალმა საბჭოთა კავშირის მარშალმა ამხანაგმა **სტალინმა** მიგვითითა, რომ „...აუცილებელია, რათა ჩვენს ქვეყანაში ერთი წუთითაც კი არ შესუსტდეს რეზერვების მომზადება ფრონტის დასახმარებლად“. სამხედრო ცოდნის საფუძვლებს დაუფლებული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულების სახით ჩვენ ღირსეულ შევსებას მივცემთ სახელოვან წითელ არმიას და ამით ხელს შეუწყობთ მისი ძლიერების შემდგომ ზრდას.

მოზარდი თაობის სამხედრო აღზრდა უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. საჭიროა აქედანვე მივიღოთ ყველა ზომა, რათა უფროს კლასებში მეცადინეობის დაწყების პირველი დღიდანვე სამხედრო სწავლება ორგანიზებულად და მაღალხარისხოვნად ტარდებოდეს.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

არმიის გენერალ თ. ი. ტოლბუხინისათვის საბჭოთა კავშირის მარშლის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ

არმიის გენერალ თევდორე ივანეს-ძე ტოლბუხინს მიენიჭოს საბჭოთა კავშირის მარშლის სამხედრო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.
1944 წლის 12 სექტემბერი.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ

პროფეიფიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა მიიწონა მოსკოვის სტალინის სახელობის ავტომქარხნის კოლექტივის პატრიოტული მოწოდება საბჭოთა კავშირის საწარმოთა ყველა მუშის, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკისა და მოსამსახურისადმი საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ ჩვენი სოციალისტური მრეწველობის ახალ წარმატებათა მიღწევისათვის, ყოველი ქარხნის, ფაბრიკის, საწარმოს სანიმუშო მუშამბისათვის.

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა აპარატმ დაავალა პროფკავშირულ ორგანიზაციებს ჩაატარონ მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრებები საწარმოებსა და საამქროებში, შეძღვნილნი საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ვალდებულებათა განხილვისა და მიღებისადმი; ყოველდღიური დახმარება გაუწიონ საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეებს ნაკიარ ვალდებულებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებაში; ფართოდ გამოიყენონ მუშათა და მოსამსახურეთა შემოქმედებითი ინიციატივა რეზერვების გამოსავლინებლად, წარმოების ჩამორჩენილ უბანთა წინ წასაწევად და იხმარონ ღონისძიებანი, რათა მოწინავეთა მუშაობის მეთოდები და მიღწევანი უსწორაფესად გავრცელდეს ყველა დანარჩენ მუშათა შორის.

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა მოუწოდა ყველა პროფკავშირულ ორგანიზაციას, ყველა მუშას, მოსამსახურეს, ინჟინერსა და ტექნიკოსს, მაღლა ასწიონ საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დროშა, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავი აღნიშნონ შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებით, ტექნოლოგიის გაუმჯობესებით, ზამთრისათვის სანიმუშო მომზადებით, შრომის დისციპლინის ყოველნაირად განმტკიცებით, ჩვენი სამშობლოს სამხედრო და სამეურნეო ძლიერების შემდგომი გადიდებით.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

12 სექტემბრის ოპერატიული ცნობა

12 სექტემბრის განმავლობაში ქალაქ ლოკჩის სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგესთან, რომელთა მხვლელობაშიც პოზიციები გაიუმჯობესეს და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

რუმინეთში ჩვენი ჯარები რუმინეთის ჯარებთან ერთად ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს ქალაქები **მერკურია-ჩიუკულუი** (ჩრდილოეთ ტრანსილვანიაში), **ბლაჟი, აიუდი, დეესა,** აგრეთვე დაიკავეს 150-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **სას-კეზდი, ციკმანტორი, საუკა, დიჩე-სენტ მარტონი** და რკინიგზის სადგურები **ხომოროდი, კაცა, კალოში.**

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები იყო.

11 სექტემბერს ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 49 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 6 თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ ლომჟის სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით ნ შენაერთის ნაწილები, რომლებმაც გადალახეს გერმანელთა გაფთრებული წინააღმდეგობა, სოლივით შეიჭრნენ მოწინააღმდეგის თავდაცვაში. შეუპოვარი შეტაკებანი ხდებოდა დასაყრდენი პუნქტების სანგრებსა და ქუჩებში. საბჭოთა მებრძოლები ხიშტებითა და გრანატებით ერეკებიან ჰიტლერელებს ძელმიწური საცეცხლე წერტილებიდან, ხანგრძლივი საცეცხლე წერტილებიდან და ბლინდაჟებიდან. ლომჟის სამხრეთ - დასავლეთით გერმანელებმა კონტრიერიშზე გადმოიყვანეს ქვეითი ჯარის დიდი ძალები, რომელთაც ტანკები და თვითმავალი ქვემეხები ეხმარებოდნენ. ჩვენმა ქვეითებმა და არტილერისტებმა მოიგერიეს მტრის კონტრიერიში, წინ წაიწიეს და ხელსაყრელი პოზიციები დაიკავეს. არასრული ცნობებით, მოწინააღმდეგემ მოკლულთა სახით 700-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგა. მოსპობილია 6 ტანკი, 4 თვითმავალი და 9 საველე ქვემეხი, 6 ნაღმსატყორცნი და 30 ტყვიამფრქვევი. ხელთ ვიგდეთ დავლა და ტყვედ წამოვიყვანეთ 100 გერმანელი.

* * *

რუმინეთში ჩვენი ჯარები, რომლებიც რუმინელთა ჯარებთან ერთად მოქმედებენ, განაგრძობდნენ წინსვლას. გერმანელ-უნგრელთა ჯარები იყენებდნენ თავდაცვისათვის ხელსაყრელ ადგილს და შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდნენ. ნ შენაერთის ნაწილებმა გადალახეს მთიანი ადგილი, ქალაქ მერკურია-ჩიუკულუში შეიჭრნენ და გაფთრებული ბრძოლების შემდეგ დაიკავეს იგი. გზატკეცილების დიდმნიშვნელოვანი კვანძი ქალაქი მერკურია-ჩიუკულუი მოწინააღმდეგის ძლიერ დაცულ პუნქტს წარმოადგენდა ჩრდილოეთ ტრანსილვანიაში. სხვა უბანზე საბჭოთა და რუმინელთა ჯარებმა 15 კილომეტრით წაიწიეს წინ და მტერი განდევნეს ქალაქ აიუდიდან. გერმანელებმა კონტრიერიშზე გადმოიყვანეს ტანკებისა და მეავტომატეების მნიშვნელოვანი ძალები. ჩვენმა არტილერისტებმა და ჯავშანმტვრეველებმა მოწინააღმდეგის 13 ტანკი დასწვეს. ბრძოლის ველზე დარჩა ასობით მოკლული ჰიტლერელი და მოწინააღმდეგის ბევრი საჭურველი.

* * *

ქალაქ კრუსტპილის დასავლეთით ჩვენმა მზვერავმა რაზმემა უეცრად მიიტანეს იერიში მოწინააღმდეგეზე და ერთი დასახლებული პუნქტიდან განდევნეს იგი. საბჭოთა მზვერავებმა წარმატება განავითარეს, მდინარე მემელეში გავიდნენ და ხელთ იგდეს პლაცდარმი მის ჩრდილოეთ ნაპირზე. გერმანელები უეცარი დარტყმის შემდეგ გონს რომ მოვიდნენ, ცდილობდნენ აღედგინათ მდგომარეობა და ცხრაჯერ გადმოვიდნენ კონტრიერიშზე. ჩვენმა მზვერავებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის კონტრიერიშები და მტკიცედ ინარჩუნებენ დაკავებულ პოზიციებს. ამ ბრძოლაში გაქელტილია სამ ასეულამდე ჰიტლერელი. ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხებისა და თოფების ცეცხლით დამწვარი და დაზიანებულია გერმანელთა ხუთი ტანკი.

* * *

ქალაქ კაუნასის (კოვნოს) დასავლეთით საარტილერიო და თოფ-ტყვიამფრქვევის სროლა სწარმოებდა. ნ ნაწილის არტილერისტებმა გაჰფანტეს მოწინააღმდეგის ჯარების დაჯგუფება, ამასთან მოსპეს თვითმავალი ქვემეხი, ორი ჯავშანტრანსპორტიორი და ათი ავტომანქანა საომარ მასალიანად. სნაიპერმა სერჟანტმა კრასნობოროვამ დღის განმავლობაში ორი გერმანელი მოჰკლა, სნაიპერმა ამხ. ახტიამოვმა ორ დღეში მოწინააღმდეგის ხუთი ჯარისკაცი და ოფიცერი დახოცა.

* * *

ბალტიისპირეთის მე-2 ფრონტის ჯარებმა ხელთ იგდეს გერმანელთა 50-ე საარმიო კორპუსის მეთაურის № 199/44 ბრძანება. ბრძანებაში ნათქვამია: „თავდაცვის ცნებას“, როგორც მგონია, ბევრი მეთაური არასწორად განმარტავს. სიტყვა „თავდაცვა“ ნიშნავს გაუმკლავდე, გაუმკლავდე უკანასკნელ კაცამდე“. არმიის ჩრდილოეთი ჯგუფის სარდალმა გენერალ-პოლკოვნიკმა შერნერმა ამის გამო შემდეგი განაცხადა: „გარემოცვის შიში ხშირად იქცევა აბეზარ მოზვენებად, რომელიც ჯარისკაცებს უქარწყლებს წინააღმდეგობის გაწევის ნებისყოფას და ამის ნაცვლად, რომ დაიცვან და შეინარჩუნონ თავიანთი პოზიციები უკანასკნელ კაცამდე, ისინი თვითნებურად სტოვებენ მათ“.

ჰიტლერელები ცდილობდნენ გაეზვიადებინათ მითი გერმანელ ფაშისტთა არმიის უძლეველობის შესახებ. ყოველი უბადრუკი გერმანელი ეფრეიტორი თავის თავს უბადლო სტრატეგად სთვლიდა. და უეცრად გერმანიის სარდლობას, ომის მეექვსე წელს, დასჭირდა სპეციალური ბრძანების გამოცემა, რათა 50-ე საარმიო კორპუსის ოფიცრებისათვის განემარტებინა სიტყვა „თავდაცვის“ მნიშვნელობა. უნდა ვიფიქროთ, რომ ყოველმა რეგვენმა გერმანელმა იცის, თუ რას ნიშნავს ეს სიტყვა. მაშასადამე, საქმე ის კი არ არის, რომ გერმანელი მეთაურები არასწორად განმარტავენ „თავდაცვის“ ცნებას. საქმე ის არის, რომ საბჭოთა ჯარების შეტევის შედეგად გერმანელ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს აღარ შეუძლიათ შეინარჩუნონ დაკავებული პოზიციები და, მიუხედავად ჰიტლერული სარდლობის უაღრესად კატეგორიული ბრძანებებისა, უკან იხევენ. წითელ არმიის გამანადგურებელმა დარტყმებმა თავზარი დასცეს გერმანელ ჯარისკაცს, მოუსპეს მას გერმანიის გამარჯვების ყოველგვარი იმედი. გერმანელი ჯარისკაცი დაავადებულია უკურნებელი სენით — გარემოცვის შიშით, ტანკის შიშით და სხვ. შიში და სასოწარკვეთილება ძირს უთხრიან გერმანელი ჯარისკაცის ნებისყოფას. ღრღნიან გერმანელს ისედაც დანჯღრეულ სამხედრო მანქანას. ამ ავადმყოფობათა წინააღმდეგ არ არის და არც შეიძლება იყოს რაიმე წამალი. მათ ვერ უშველის ვერც ბრძანებები. რომლებსაც ასე უხვად სწერენ ახლა გერმანელი გენერლები.

უკრაინის 100 საბჭოთა მეურნეობამ ვადაზე ადრე შეასრულა პურის ჩაბარების სახელმწიფო გეგმები

უკრაინის 100 საბჭოთა მეურნეობამ ვადაზე ადრე შეასრულა პურის ჩაბარების სახელმწიფო გეგმები. გეგმის გადამეტებით მარცვლეულის გამოზიდვა გრძელდება.

მოწინავეთა რიგებში ზაპოროჟიეს ოლქის საბჭოთა მეურნეობანი არიან. ბევრმა მათგანმა პურის მნიშვნელოვანი როდენობა ჩაბარა გეგმის გადამეტებით (საკდესი).

ახალი წიგნი

„საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა სამამულო ომის პერიოდში“

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა პირველი ტომი დოკუმენტებისა „საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა სამამულო ომის პერიოდში“. პირველ ტომში თავმოყრილია საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები ომის ორნახევარი წლის განმავლობაში — 1941 წლის 22 ივნისიდან 1943 წლის 31 დეკემბრამდე.

ეს დოკუმენტები გვიჩვენებენ, თუ როგორ იქმნებოდა სსრ კავშირის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების საბრძოლო კავშირი ჰიტლერული გერმანიის და ევროპაში მისი მოკავშირეების წინააღმდეგ. როგორ ხდებოდა აღდგენა და მტკიცდებოდა საბჭოთა სახელმწიფოს ურთიერთობა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა დიდი ანტიჰიტლერული კოალიციის სხვა წევრებთან, როგორ ფართოვდებოდა სსრ კავშირის დიპლომატიური ურთიერთობა იმ ქვეყნებთან, რომლებსაც სამამულო ომამდე კავშირი არა ჰქონიათ საბჭოთა კავშირთან, როგორ უმჯობესდებოდა სსრ კავშირის ურთიერთობა ნეიტრალურ სახელმწიფოებთან და, ბოლოს, როგორ ამხილებდა სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკა მთელი მსოფლიოს წინაშე ჰიტლერული გერმანიისა და მისი სატელიტების დაპყრობითს მიზნებს და ომის წარმოების პარბაროსულ მეთოდებს.

წიგნის ტირაჟი 10.500 ცალი. (საკდესი).

უკანასკნელი ცნობები

გერმანელთა ევაკუაცია ეგეოსის ზღვის კუნძულებიდან

ანკარა, 12 სექტემბერი (საკდესი). იზმირიდან მიღებული ცნობებით, გერმანელებმა დასტოვეს ხიოსის კუნძული და ამასთან მოსპეს მთელი მძიმე საჭურველი და სამხედრო საწყობები, რომლებიც კუნძულზე იყო.

გერმანელები სტოვებენ აგრეთვე ლესბოსისა და ლემნოსის კუნძულებს. როგორც იუწყებიან, გერმანელები ევაკუირებული კუნძულებიდან სალონიკს მიდიან.

ბულგარეთის სარეგენტო საბჭოს წევრების გამოსვლა რადიოთი

სოფია, 12 სექტემბერი (საკდესი). გუშინ სარეგენტო საბჭოს წევრებმა ცვეტკო ბობოშევსკიმ და ტოდორ პავლოვმა სიტყვები წარმოსთქვეს რადიოთი, რომლებშიც ბულგარელ ხალხს მოუწოდებდნენ ბულგარეთის ახალი მთავრობის გარშემო დაირაზმეთო.

ინგლისის ავიაციის თავდასხმა გერმანიაზე

ლონდონი, 12 სექტემბერი (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ 11 სექტემბერს დღისით „ლანკასტერის“ და „ჰალიფაქსის“ მარკის ბომბდამშენები „სპიტფაირის“ და „მუსტანგის“ მარკის ავიგამანადგურებელთა თანხლებით თავს დაესხნენ სინთეზური საწვავის სამ ქარხანას რურის ოლქში.

როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ინგლისის მძიმე ბომბდამშენები 12 სექტემბერს დღისით თავს დაესხნენ სინთეზური საწვავის ორ ქარხანას რურის ოლქში; ისინი მდებარეობენ იმ სამი ქარხნის მახლობლად, რომლებზედაც გუშინ იერიში მიიტანეს.

დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება საბჭოთა კავშირსა და ერაყს შორის

საბჭოთა მთავრობამ მიიღო ერაყის მთავრობის წინადადება სსრ კავშირსა და ერაყს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისა და დიპლომატიურ წარმომადგენელთა გაცვლის შესახებ.

1944 წლის 25 აგვისტოს ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა არშ. დაღ-უმარიმ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ამხ. ვ. მ. მოლოტოვის სახელზე შემდეგი დეპეშა გამოგზავნა:

„მე ვიმოწმებ იმ საუბრებს, რომლებიც ჰქონდათ ერაყის დესპანსა და საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელს თეირანში, ანგარიშს ვუწევ ურთიერთ სურვილს დამყარებულ იქნას დიპლომატიური ურთიერთობა ერაყსა და საბჭოთა კავშირს შორის და პატივი მაქვს ვაცნობო თქვენს აღმატებულებას, რომ მისი უდიდებულესობის მთავრობამ ეს-ეს არის მიიღო გადაწყვეტილება ამ ურთიერთობის დამყარებისა და დიპლომატიურ წარმომადგენელთა გაცვლის შესახებ ორივე ქვეყანას შორის. მე მსურს, რომ ორივე მთავრობამ არ დააყოვნოს და შეუდგეს თავიანთ წარმომადგენელთა დანიშვნას. ჩემთვის ნამდვილ სიხარულს წარმოადგენს ამის შესახებ მოგმართოთ სწორედ იმ მომენტში, როდესაც გამარჯვებანი აგვირგვინებენ საბჭოთა არმიების მძლავრ ღონისძიებებს, იმ სახელოვანი არმიებისა, რომლებსაც მუდამ უაღრესად დიდი მსხვერპლი რიჰქონდათ ხალხების განსათავისუფლებლად. მე ბედნიერი ვარ ამასთან დაკავშირებით ვისარგებლო შემთხვევით, რათა გამოვთქვა ჩემი უაღრესად წრფელი სურვილები თქვენი ქვეყნის ბედნიერების შესახებ და ვთხოვო თქვენს აღმატებულებას ირწმუნოს ჩემი თქვენდამი უაღრესად დიდი პატივისცემა“.

ამ დეპეშის პასუხად სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა ბ-ნ არშად-ალ-უმარის შემდეგი დეპეშა გაუგზავნა:

„ბატონო მინისტრო, პატივი მაქვს დავადასტურო თქვენი 25 აგვისტოს დეპეშის მიღება.

საბჭოთა კავშირის მთავრობა დიაღად აფასებს საბჭოთა არმიისადმი თქვენს მიერ გამოთქმულ გრძნობებს. საბჭოთა მთავრობა კმაყოფილებით იღებს ერაყის მთავრობის წინადადებას საბჭოთა კავშირსა და ერაყს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ.

საბჭოთა მთავრობა თანახმაა ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და ერაყს შორის დამყარებულად ჩასთვალოს ამ მომენტიდან დაწყებული და მზად არის რაც შეიძლება მოკლე ვადაში გასცვალოს დესპანები“.

ბრძოლები კარპატის მთებში

მოსკოვი არმია, 11 სექტემბერი (საკდესის სპეც. კორ.). ვერც მაღალი უღელტეხილები და ვიწრო კლდეკარები, ვერც გადამწყვეტ უბნებზე აგებული სიმაგრეები, ვერც გერმანელთა და უნგრელთა იმ ახალი შენაერთებიდან რეზერვების გამოყენა, რომელნიც უნგრეთში იწვრთნებოდნენ — ვერაფერი ვერ შველის მტერს, რომ შეაჩეროს საბჭოთა ნაწილების ძლევამოსილი წინსვლა კარპატის მთებში.

ბრაშოვის ჩრდილოეთით, ტრანსილვანიის საზღვარზე უნგრელებმა ააგეს მკვიდრი ხანგრძლივი თავდაცვა, რომელიც აღჭურვილი იყო ხანგრძლივი საცეცხლე წერტილებითა და ძელმიწური საცეცხლე წერტილებით, ნაღმიანი მინდვრებითა და მავთულღობურებით. ეს თავდაცვა შენდებოდა დიდი ხანით ადრე რუმინეთში საბჭოთა ჯარების შესვლამდე. ტყვე უნგრელები აჩვენებენ, რომ ომობდა რა რუმინეთთან ერთად გერმანიის მხარეზე, უნგრეთის მთავრობა არ ენდობოდა რუმინელებს და აგებდა სიმაგრეებს, რათა რუმინელთა ჯარები არ გაეშვა ტრანსილვანიაში. „ახლა ეს თავდაცვა,—ამბობენ უნგრელები,—რუსებთან ბრძოლაში გამოვიყენეთ“.

გამოიყენებით კი გამოიყენეს, მაგრამ საბჭოთა ჯარები ამ თავდაცვამ ვერ შეაჩერა. რამდენიმე დღის შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ ჩვენმა ჯარებმა გაარღვიეს ეს გამაგრებული ხაზი. ამ უბანზე ბრძოლებში მოწინააღმდეგეს მეტად მნიშვნელოვანი ზარალი მოუვიდა. ერთი დღის განმავლობაში 1.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი მარტო ტყვედ იქნა წამოყვანილი. ტყვე გერმანელები და უნგრელები ერთ რამეზე ლაპარაკობენ—თავიანთ უდიდეს ზარალსა და საბჭოთა ჯარების ცეცხლის წარმოუდგენელ სიმძლავრეზე. უნგრელთა 67-ე სანაპირო ჯგუფის თვითეული ასეულში, სანამ ტრანსილვანიის საზღვარზე საბრძოლო მოქმედება დაიწყებოდა, 140 ჯარისკაცი იყო, ახლა სულ ბევრი 40 ჯარისკაცი დარჩა. „რუსების ზარბაზნები მთების გადაღმიდან ისე მარჯვედ ისვრიან, რომ ყუმბარები პირდაპირ ბლინდაჟებსა და ხანგრძლივ საცეცხლე წერტებს ხვდება“—ამბობს ერთი უნგრელი ჯარისკაცი. მეორე დასძენს: „მე ვიცოდი, რომ რუსების „კატუშები“ საშინელი რამ არის, მაგრამ, როცა ამ „კატუშამ“ ხალი დაუშინა მეზობელ ასეულს და ამ ხალმა თითქმის მთელი ასეული გაანადგურა, დავრწმუნდი, რომ რუსებს ვერ გავუძლებთ“.

მოწინააღმდეგე ცეცხლითა და კონტრიერიშებით ცდილობს შეაჩეროს ჩვენი ნაწილების წინსვლა. მაგრამ მთელი ეს ცდები მხოლოდ მტრის ახალ-ახალი დამარცხებით მთავრდება. საბჭოთა ნაწილები შეუპოვრად მიიწევენ წინ, ჩრდილო-დასავლეთისაკენ.

გაფთრებული ბრძოლები სწარმოებს მთებში ქალაქ კომპულუნგის ჩრდილოეთით და სამხრეთით. გზა აქ ცოტაა და ისინი მიიკლაკნებიან მთის სწრაფი პაწია მდინარეების ღიცაბო ნაპირებზე. მთიელთა იშვიათი და პატარა სოფლები, როგორც წესი, ამ გზების ახლოს განლაგებულან მთების კალთებზე. ყოველი ასეთი სოფელი გერმანელ-უნგრელთა ჯარების თავდაცვის დასაყრდენი პუნქტია. ხოლო მთელი გზა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გაუვალობისათვის ნავარაუდევ სიმაგრეთა სისტემას წარმოადგენს. მაგრამ აქაც საბჭოთა მეომრები წინ მიიწევენ, ზედიზედ ერეკებიან მტერს დასაყრდენი პუნქტებიდან. საბჭოთა ოფიცრები იყენებენ გაბედულ მანევრებს ტაქტიკას, უეცრობის ელემენტს. საბჭოთა კავშირის გმირ კაპიტან სადოვსკის ბატალიონს ერთი დასაყრდენი პუნქტი უნდა დაეკავებინა. ფრონტალური იერიში წარმოუდგენელი იყო. სადოვსკიმ მტრის ზურგში გაგზავნა მზვერავები სერჟანტ ედანოვის მეთაურობით, ხოლო უფროს ლეიტენანტ უსენკოს ასეული გაგზავნა მტრის თავდაცვის ფლანგისათვის დასარტყმელად. ედანოვმა ღამით შეაღწია მოწინააღმდგის ზურგში, იგი სასტიკ სიფრთხილეს იჩენდა და გარიჟრაჟზე თავი დაესხა მტერს ედანოვის მზვერავთა პირველი სროლა ისმენილი იყო უსენკოს ასეულისათვის. როცა ზურგიდან და ფლანგიდან იერიშით მტრის ყურადღება მთავარ მიმართულებას ჩამოაშორეს, სადოვსკიმ ბრძოლაში გამოიყენა თავისი ძირითადი ძალები. დასაყრდენი პუნქტი აღებულ იქნა.

ა. მალიგაშვილი

საბჭოთა კავშირის გმირ შაქიროვის საგმირო საქმე

მოსკოვი არმია, 12 სექტემბერი (საკდესის სპეც. კორ.). როცა ასეულის მეთაურმა იერიშის ნიშანი მისცა, წითელარმიელი, ეროვნებით უდმურტი, კულმა შაქ

საქართველოს კ. პ. (ბ) მაიაკოვსკის რაიკომის მდივანი შალვა გურასაშვილი ატარებს კონსულტაციას თემაზე: სამამულო ომის მიმდინარე მომენტი და საერთაშორისო მდგომარეობა.
ფოტო რ. აკოფოვისა

პარტიული ცხოვრება

პარტიული ორგანიზაცია მომჭირნეობისათვის ბრძოლაში

ჩვენი პარტიული ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ელექტროენერგიის, კოქსის, ხალცედონის, მარგანეცის, მადნის მომჭირნეობით ხარჯვას. მომჭირნეობის საკითხზე მუშაობს ქარხნის მთელი კოლექტივი, აქეთკენ არის მიმართული ჩვენი რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების შემოქმედებითი აზრი.

მცირენახშირბადიანი ფეროსმარგანეცის დნობის ტექნოლოგია კარგად არ იყო დამუშავებული, კაზმი წესიერად არ მზადდებოდა. ამის შედეგად დაბალი იყო სადნობი ღუმელის წარმადობა, ზედმეტად იხარჯებოდა ელექტროენერგია. ეს საკითხი არა ერთგზის ყოფილა პარტიული ორგანიზაციის მსჯელობის საგანი. გადავწყვიტეთ, რადაც უნდა დაგვჯდომოდა გაგვედიდებინა ღუმელის წარმადობა, შეგვეცირებინა ელექტროენერგიის მოხმარება. კომუნისტმა ინჟინერმა ბ. ლომთათიძემ სიფუძვლიანი გაუმჯობესება შეიტანა ამ ლითონის დნობის ტექნოლოგიაში. მისი წინადადებით შეიცვალა კაზმის მომზადების არსებული წესი. კაზმში კირქვის მაგიერ ნახევრად გამომწვარი კირქვა შევიტანეთ. ამან საუცხოო შედეგი მოგვცა. 30 პროცენტით გადიდდა ღუმელის წარმადობა, 24,5 პროცენტით დაიზოგა ელექტროენერგია. ახლა გარდა იმისა, რომ ღუმელი მეტ ლითონს იძლევა, წლიურად 1.813 ათას კილოვატსაათ ენერგიას ზოგავს.

ომმა გააძნელა სადნობი ღუმელებისათვის საკონდაქტო ყბების შორეული ქარხნებიდან მიღება. გამოსავალი იმაში მდგომარეობდა, რომ ადგილობრივ დაგვეწყო საკონდაქტო ყბების დამზადება. წინაღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო სადნობი ღუმელების გაჩერება. თაოსნობა აქაც კომუნისტებმა გამოიჩინეს. საკონდაქტო ყბების ქარხანაში დამზადების საკითხი პარტიულმა ორგანიზაციამ განიხილა. ეს მთელი ქარხნის კოლექტივის საბრძოლო ამოცანა გახდა. გამოვლინებულ და შესწავლილ იქნა ყველა შესაძლებლობა და საკითხის სწორი გადაწყვეტაც ვიპოვეთ. ამჟამად საკონდაქტო ყბებს არა მარტო საკუთარი მოხმარებისათვის ვამზადებთ, დახმარებას ვუწევთ სხვა ფეროშენადნობთა ქარხნებსაც. ამით თავიდან ავიშორეთ დიდძალი ხარჯები და, რაც მთავარია, ღუმელების მოცდენები. საკონდაქტო ყბების ადგილობრივ ათვისებისა და დამზადებისათვის სეროიზული მუშაობა გასწიეს კომუნისტებმა ამხ. ლ. თუთარაშვილმა და გ. ცერცვაძემ.

ხალცედონი კაზმის საკმაოდ დეფიციტური შემადგენელია. წინათ ქარხანაში ძალიან დიდი იყო ხალცედონის დანაკარგი. ხალცედონის ნარჩენების გამოყენებისათვის ნაკლებად ვზრუნავდით. უკანასკნელ ხანებში ამ საკითხით პარტიული ორგანიზაცია დაინტერესდა. ხალცედონის ნარჩენების რაციონალურად გამოყენებაზე სპეციალურად ვიმუშავეთ. ამჟ. ა. ჩიკვაიძემ შამოაყენა წინადადება ხალცედონის ნარჩენებისათვის საცხრილი მოგვეწყო. ეს წინადადება დაინერგა წარმოებაში. ამგვარად, თუ წინათ აღნიშნული ნარჩენები გამოყენებული არ იყო, ამჟამად იგი კაზმში შედის და ამით ყოველწლიურად 90 ათასი მანეთი ეზოგება.

№ 4 საამქროს მუშაობას, ამ საამქროს პროდუქციის გადიდებასა და თვითღირებულების შემცირებას პარტიული ორგანიზაცია ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა. ამას უშედეგოდ არ ჩაუვლია. საამქროს სახელოვანმა კოლექტივმა მარტო მიმდინარე სამეურნეო წლის უკანასკნელ ხუთ თვეში გამოუშვა იმდენი პროდუქცია, რამდენიც მთლიანად გასულ წელს. ამავე დროს პროდუქციის თვითღირებულება 1942 წელთან შედარებით მიმდინარე წლის 7 თვეში 2,5 ჯერ შემცირდა. ამრიგად, წელს საამქროს 1.100.000 მანეთი სოციალისტური დაგროვება მოგვცა. ახლახან საამქროს მაღალ ძაბვაზე გადაყვანეთ, რაც წარმადობის ზრდასთან ერთად საგრძნობლად შეამცირებს ელექტროენერგიის ხარჯს. საამქროს ასეთი წარმატებანი მოიპოვა სტალინური პრემიის ლაურეატების კომუნისტებმა ამხ. გ. სიოროძისა და რ. აგლაძის გონივრული და უნარიანი ხელმძღვანელობით.

მასალების მომჭირნეობით და რაციონალურად გამოყენებაში საუკეთესო მაგალითებს გვაძლევენ კომუნისტები ამხ. შ. ფხაკაძე, არ. სტეპანიანი, კ. ჯუღელი, ნ. მაღლაკელიძე და სხვ.

საკონდაქტო ყბების ჩამოსხმისას ყოველ ტონა კაზმში 300 კილოგრამი სპილენძი უნდა შეეტანათ. კომუნისტმა ინჟინერმა ამხ. არ. სტეპანიანმა მიაღწია იმას, რომ ყოველ ტონა კაზმში საკმაოა შევიტანოთ 2,5 კილოგრამი ფოსფორიანი სპილენძი. ამით ათეულ ტონობით სპილენძი იზოგება და ეკონომია 73 ათას მანეთს შეადგენს.

კომუნისტმა ოსტატმა ამხ. ნ. მაღლაკელიძემ მოკლე ქსელის გადახურვით ღუმელის გაჩერებები სამი საათით შეამცირა. თუ წინათ ღუმელები ოთხი საათი უნდა გაჩერებულიყო, ახლა მხოლოდ ერთი საათი კმარა.

კარგ თაოსნობას იჩენენ საამქროთა პარტორგანიზაციებიც. საამქროებში დიდძალი ლითონი იკარგებოდა. დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლა კომუნისტებმა წამოიწყეს, შედეგებიც თვალსაჩინოა. ივნისში შეგროვდა 35 ტონა ლითონი, ივლისში—47 ტონა. ეს მუშაობა კვლავ გრძელდება. ლითონების შეგროვებას კომუნისტი მეტალურგები ამხ. ლ. ბრეგაძე, ბ. მელქაძე, ნ. გოგლჩიძე, ლ. ნებიერიძე, ლ. ჭანტურიძე და სხვ. ხელმძღვანელობენ.

მომჭირნეობისათვის სერიოზულ მუშაობას ეწევიან ქარხნის აგიტატორებიც. ისინი ხშირად მართავენ საუბრებს მასალების, საწვავის, ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვის საკითხებზე, ამეღავნებენ კონკრეტულ ნაკლოვანებებს და იბრძვიან მათი გამოსწორებისათვის. ქარხნის მუშებს ყაირათიანობისა და მკაცრი ეკონომიისაკენ მოუწოდებენ ავრეთვე ის პლაკატ-ლოზუნგები, რომელთაც ქარხნის ყოველ საამქროში ნახავთ.

აი, ჩვენი ქარხნის ზოგი საერთო მაჩვენებელი. როგორც ცნობილია, პროდუქციის თვითღირებულება წარმოების მუშაობისბარომეტრია. მიმდინარე წლის პროდუქციის თვითღირებულება 2,94 პროცენტით შეუმცირეთ. საგრძნობი რაოდენობით დავზოგეთ ხალცედონი და კოქსიც. ექვს თვეში დაზოგილია 3.405 ტონა ხალცედონი და 1.357 ტონა კოქსი, რაც 372,470 მანეთის ეკონომიას გვაძლევს. მარტო ივლისში 287 ათასი მანეთი დავზოგეთ.

მაგრამ სწორი როდი იქნება ვთქვათ, რომ მომჭირნეობის საქმეში ჩვენ ყველაფერი რიგზე გვაქვს. ჩვენთან განსაკუთრებულ ვიწრო ადგილს ელექტროენერგიის ხარჯვა წარმოადგენს. ჩვენ დიდძალ ენერგიას ვსაჭიროებთ. ელექტროენერგიის რაციონალურად გამოყენების საკითხს სპეციალური ტექნიკური კონფერენცია მივუძღვენით. ამავე საკითხზე ჩავატარეთ პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირი. ქარხნის პარტიული ორგანიზაციაც ხშირად მსჯელობს ელექტროენერგიის მომჭირნეობის ხარჯვის საკითხზე, განვახორციელეთ სერიოზული ღონისძიებები. ამის შედეგად თვიდან თვემდე მცირდება ელექტროენერგიის მოხმარება, მაგრამ გადახარჯვას მაინც ეგზი დაგაღწეთ თავი. ამ დარგში ჩვენ მომავალშიც ბევრი უნდა ვიმუშაოთ.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პარტიული ორგანიზაცია, ქარხნის მთელი კოლექტივი ყველაფერს გააკეთებს, რათა ნაკლები ნედლეულით, კოქსით, ელექტროენერგიით ფრონტსა და სამშობლოს მისცეს მეტი და მხოლოდ მაღალხარისხოვანი ლითონი, ახალი საწარმოო გმარჯვებებით შეხვდეს ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავს.

ალ. მესხი

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პარტიულის მდივანი

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ ᲝᲠᲡᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲨᲕᲘᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲯᲕᲝᲮᲔᲚᲐ ᲓᲔᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲖᲔ

11 სექტემბერს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სხდომათა დარბაზში შესდგა მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების და რაიონულ საფინანსო განყოფილებათა გამგეების რესპუბლიკური თათბირი, რომელსაც დაესწრნენ აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო კომისრები, აჭარის და აფხაზეთის ასს რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების თავმჯდომარეები, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე და სათანადო უწყებათა წარმომადგენლები.

თათბირის დღის წესრიგში იდგა ერთი საკითხი—ორსული ქალებისათვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების გადიდების, დედისა და ბავშვის დაცვის გაძლიერების, „გმირი დედის“ საპატიო წოდების, „სახელოვანი დედის“ ორდენისა და „დედობის მედლის“ დაწესების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულებისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 18 აგვისტოს დადგენილების პრაქტიკულად განხორციელების ღონისძიებათა შესახებ.

თათბირი მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ვ. ბაქრაძემ.

ორსული ქალებისათვის, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების პრაქტიკულად განხორციელებისა და ამასთან დაკავშირებით მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან და მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების სახელმწიფო დახმარების განყოფილებათა ორგანიზაციისა და ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. მ. ჯაში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბავშვისა და დედისათვის, მტკიცე სოციალისტური ოჯახისათვის, ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდისათვის ზრუნვა მუდამ იყო და არის საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა. ახალ კანონს ამ მხრივ უდიდესი სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

— კანონი, რომელიც გამოქვეყნდა ომიანობის მრისხანე დღეებში,—სთქვა ამხ. ჯაშმა,— და რომელიც ჩვენი ქვეყნისაგან უდიდეს დაატებოს სახსრებს და მატერიალური ღონისძიებების გატარებას მოითხოვს,—ერთხელ კიდევ ბრწყინვალედ ადასტურებს ჩვენი სახელმწიფოს ძლიერებას.

მომხსენებელმა მოიყვანა ციფრები და ფაქტები, რომლებიც ადასტურებენ დედებსა და ბავშვებზე საბჭოთა სახელმწიფოს უდიდეს მზრუნველობას. მარტო 1936 წლის ივნისიდან მრავალშვილიანი დედებისათვის დახმარების დაწესების შემდეგ, საქართველოში ამ ხაზით გაცემულია 219 მილიონ მანეთზე მეტი.

რესპუბლიკაში მოწყობილია 289 საბავშვო ბაგა, 59 სამშობიაროო სახლი, დედათა და ბავშვთა 121 საკონსულტაციო დაწესებულება, 26 პოლიკლინიკა, ბავშვთა 8 საავადმყოფო, 14 საკვები სადგური, 42 საბავშვო სახლი, 500-მდე საბავშვო ბაღი და სხვ.

დედათა და ბავშვთა დახმარებასთან დაკავშირებული ყველა ღონისძიებისათვის 1944 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია 72 მილიონ მანეთზე მეტი, ხოლო გატარებთ რა ახალ კანონს, ეს თანხა ერთიორად გაიზრდება.

მომხსენებელი დაწვრილებით შეჩერდა დედებისათვის დახმარების დანიშნვის და გაცემის, შეღავათების მინიჭების წესებზე, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე, აგრეთვე მრავალშვილიანი დედებისათვის საპატიო წოდების მინიჭებისა და მათი ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების საკითხზე.

შემდეგ მომხსენებელმა ვრცლად გააშუქა ის ამოცანები, რომლებიც დგას ჩვენი სამეურნეო მუშაკების, სახალხო კომისარიატების, ადგილობრივი საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციების წინაშე. ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს სბავშვო დაწესებულებათა ქსელის შემდგომი გაფართოება და არსებული ქსელის მუშაობის რადიკალურად გაუმჯობესება. სახალხო კომისარიატების და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, ფაბრიკა-ქარხნების, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა და ყველა სამეურნეო მუშაკმა დაუფარავად უნდა შეამჩნიონ თავიანთ სისტემაში არსებული საბავშვო დაწესებულებათა ქსელის მუშაობა, დასახონ და გაატარონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ ბავშვთა დაწესებულებების მუშაობის სანიმუშოდ დაყენებას. განსაკუთრებით დიდი სამუშაო აქვთ ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სახალხო კომისარიატებს, უნდა ითქვას, რომ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ბავშვთა პროფილაქტიკურ დაწესებულებათა სამმართველო და საშობიარო დახმარების განყოფილება, აგრეთვე განათლების სახალხო კომისარიატის სკოლამდე აღზრდის და სბავშვო სახლების სამმართველოები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ. ეს იქიდანაც სჩანს, რომ თუმცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების გამოქვეყნებიდან 2 თვეზე მეტი გავიდა, მათ ჯერ ღონისძიებებიც არ დაუსახავთ მის გასატარებლად.

ჯანმრთელობის დაცვის და განათლების სახალხო კომისარიატებმა ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან, მიწათმოქმედების ორგანოებთან და რაიისაბჭოს აღმასკომებთან ერთად სასწრაფოდ უნდა შეიმუშაონ ღონისძიებანი კოლმეურნეობებში საბავშვო ბაგებისა და საბავშვო სახლების საჭირო რაოდენობით მოსაწყობად. საფეიქრო მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის, კვებისა და ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატებს, რომელთა სისტემაში ფართოდ არის გამოყენებული ქალთა შრომა, დიდი მუშაობის ჩატარება მოუხდებათ დედათა და ბავშვთა დაწესებულებების გასაფართოებლად.

დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ საფინანსო ორგანოებს. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან ჩამოყალიბდა მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების სახელმწიფო დახმარების განყოფილებანი. მათ ეკისრებათ ყველა ცნობების მიმდინარე დახმარების დანიშვნისათვის, პირადი წიგნაკების გაცემა მრავალშვილიანი დედებისათვის, რომლებსაც დაენიშნათ დახმარება, იმ შემნახველი სალაროებისა და სასოფლო საბჭოების დოკუმენტალური რევიზია, რომლებიც დახმარების ფულს აძლევენ მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს, დახმარების დანიშვნასთან დაკავშირებული საქმეების წარმოება და სხვ. საჭიროა ამ ახლად ჩამოყალიბებულმა განყოფილებებმა იმუშაონ ზუსტად და შეუფერხებლად. ამ საქმეში მათ სათანადო ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი უნდა გაუწიონ რაიონულმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა.

პასუხსაგები ამოცანა ეკისრება სავაჭრო ორგანოებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ როგორც საბავშვო დაწესებულებანი, ისე მოსახლეობა საბავშვო ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, ჰიგიენისა და სანიტარიის საგნებით, ორსული, მეძუძური ქალები, საბავშვო დაწესებულებათა ძიძები — დამატებითი კვებით, ახალშობილები — თეთრეულით და სხვ. ვაჭრობის ორგანოებს დღემდე არა აქვთ საათანადოდ მოგვარებული ეს საქმე. საჭიროა, რომ დედებისა და ბავშვებისათვის გამოყოფილი ფონდები დროზე იქნას მიტანილი მომხმარებლამდე.

— ყველა ამ ღონისძიებათა გატარება, — ამთავრებს თავის მოხსენებას ამხ. ჯაში, — გაახარებს ჩვენს მებრძოლებს, რომლებიც ამარცხებენ ვერაგ მტერს. ეს მათ შეატებს ენერგიასა და ძალას კაცობრიობის უბოროტესი მტრის გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების საბოლოო განადგურებისათვის.

მოხსენების გარშემო კამათში გამოვიდნენ აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ფუტკარაძე, საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი ამხ. კუპრაძე, ქარელის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მიქაძე, ქუთაისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ლომიძე, ახალქალაქის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ავეტისოვი, ზუგდიდის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ჯიჭინაია, ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარი ამხ. ხელიძე, თბილისის ლენინის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. თეგზაძე, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. თარგამაძე, გორის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ბუჯიაშვილი, ჩოხატაურის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. სიხარულიძე, ვაჭრობის სახალხო კომისარი ამხ. გიორგაძე, გურჯაანის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გელდიაშვილი, ფინანსთა სახალხო კომისარი ამხ. ციმაკურიძე, ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის სამმართველოს უფროსი ამხ. ადამია.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ვ. ბაქრაძემ, რომელმაც დასახა მთელი რიგი კონკრეტული ამოცანები ახალი კანონის განხორციელების, დედებისა და ბავშვების მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების დარგში.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. გ. სტურუამ.

ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲘᲐᲨᲘ

ᲐᲠᲔᲒᲔᲜᲢᲝ. ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲐᲜ

სოფია, 12 სექტემბერი (საკდესი). გუშინ საღამოს სარეგენტო საბჭოს წევრმა პროფესორმა ვენელინ განევმა სოფიის რადიოთი წაიკითხა სარეგენტო საბჭოს მიმართვა ბულგარელი ხალხისადმი. მიმართვაში ნათქვამია:

„ბულგარელებო! კონსტიტუციის 30-ე მუხლის საფუძველზე ვაცხადებ, რომ ჩვენ შევუდექით ჩვენი მოვალეობის შესრულებას როგორც რეგენტები მანამდე, სანამ სარეგენტო საბჭოს შემადგენლობას არ დაამტკიცებს დიდი სახალხო კრება, როგორც ამას კონსტიტუცია მოითხოვს. ამ მომენტში ჩვენ ვასრულებთ ხალხის ნება-სურვილს, ვამართლებთ ხალხის ნდობას და სახელმწიფოს ვმართავთ მეფის სახელით, როგორც ამას კონსტიტუცია მოითხოვს. ამ მომენტში [illegible] ებში, რომლებსაც ჩვენი ქვეყანა განიცდის, ვეცდებით, რომ ჩვენს ქვეყანას ბედნიერება და წარმატება მოვუპოვოთ.

ეს დღეები, რომლებსაც ჩვენ განვიცდიდ[illegible] გადამწყვეტია ჩვენი ხალხისა და მისი მომავლისათვის. ჩვენ მოვუწოდებთ მთელ ბულგარელ ხალხს გამოიჩინოს პირადი, საზოგადოებრივი და პოლიტიკური დისციპლინის მაქსიმალური სიმშვიდის დასაცავად. მთავრობის მთელი ხელისუფლება თქვენს ხელშია, — იგი საყოველთაო სახალხოა. იმედი გვაქვს, რომ დაეხმარებით მთავრობას მისთვის დაკისრებულ ძნელ ამოცანათა შესრულებაში“.

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲙᲘᲛᲝᲜ ᲒᲔᲝᲠ�გᲘᲔᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

სოფია, 12 სექტემბერი (საკდესი). ბულგარეთის პრემიერ-მინისტრმა კიმონ გეორგიევმა გუშინ სიტყვა წარმოსთქვა სოფიის რადიოთი. მან განაცხადა: „მთავრობა სულ 48 საათია, რაც სათავეში უდგას ხელისუფლებას. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ მოვიშორეთ ძველი სარეგენტო საბჭო, რომელიც, საერთო აზრით, არ სარგებლობდა ხალხის ნდობით, ბულგარელ ხალხს დავუბრუნეთ კონსტიტუციით გარანტირებული პოლიტიკური უფლებანი და თავისუფლებანი, აღვადგინეთ პრესის თავისუფლება და გავაუქმეთ ცენზურა.

ჩვენ დავაპატიმრეთ მთავრობათა ყველა ყოფილი მინისტრი, რომლებიც ხელისუფლების სათავეში იდგნენ 1941 წლის 1 იანვრიდან. დაპატიმრებულია აგრეთვე 25-ე პოწესვეის სახალხო კრების ყველა ის დეპუტატი, რომლებიც მხარს უჭერდნენ დამღუპველ პოლიტიკას, ბულგარეთი რომ კატასტროფის პირას მიიყვანა. ჩვენ ავკრძალეთ ყველა ის ჟურნალი და გაზეთი, რომლებიც სწამლავდნენ ბულგარელი ხალხის შეგნებას და ბულგარელ ხალხისათ[illegible]

ᲡᲐᲛᲝᲐᲠᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲔᲕᲠᲝ�პᲐᲨᲘ

ლონდონი, 12 სექტემბერი (საკდესი). მოკავშირეთა საეშელონიო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის დღეს გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია:

მოკავშირეთა ჯარებმა საზღვარი გადასჭრეს გერმანიასა და ლუქსემბურგს შორის და ამ რაიონის სამხრეთით შეუერთდნენ მოკავშირეთა იმ ჯარებს, რომლებმაც სამხრეთ საფრანგეთიდან წამოიწიეს წინ. მდინარე მოზელის ხეობაში მტერი განაგრძობს შეუპოვარი წინააღმდეგობის გაწევას. ამ რაიონის ჩრდილოეთით მოკავშირეთა დიდი ძალები, რომლებმაც წინათ გადასჭრეს გერმანიის საზღვარი, ამჟამად ტირის ჩრდილო-დასავლეთით იმყოფებიან. ის ჯარები, რომლებმაც ქალაქი ლუქსემბურგი გაათავისუფლეს, ბრძოლას ეწევიან მოწინააღმდეგესთან, რომელიც ცდილობს შეიჭროს მოკავშირეთა ჯარების წინსვლა მერშის ჩრდილო-აღმოსავლეთით. მოკავშირეთა ჯარებმა, რომლებმაც წინ წაიწიეს ლიეჟის სამხრეთით, გადასჭრეს გზა ჰარესა და ეველს შუა. მოკავშირეებმა დაიკავეს გერვი, რომელიც 10 მილზე მდებარეობს ლიეჟის აღმოსავლეთით. მიუხედავად მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობისა, გაფართოებულია ხიდწინა სიმაგრე ალბერტის არხის რაიონში. გენტის აღმოსავლეთით განთავისუფლებულია ლოკარენი და სენ-ნიკოლა. კალესა და გრი-ნეს კონცხს შუა მდებარე რაიონში დაკავებულია ვესანი და სანგეტი.

11 სექტემბერს მოკავშირეთა ავიაცია თავს ესხმოდა მტრის ბატარიებსა და დასაყრდენ პუნქტებს მეცსა და ტიონვილს შუა მდებარე რაიონში, იერიში მიჰქონდა მოწინააღმდეგის რკინიგზის ობიექტებზე საარბრიუკენსა და [illegible]

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲒᲐᲠᲜᲘᲖᲝᲜᲛᲐ ᲰᲐᲕᲠᲨᲘ ᲘᲐᲠᲐᲚᲘ ᲓᲐᲙᲧᲐᲠᲐ

ლონდონი, 12 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს სპეციალური კორესპონდენტი, რომელიც კანადის 1-ლ არმიასთან იმყოფება, [illegible] ფება, იუწყება, რომ დღეს 11 საათსა და 30 წუთზე გერმანიის გარნიზონი ჰავრში ინგლისის ჯარებს დანებდა.

ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲗᲐ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲐ ᲗᲐᲕᲡ ᲓᲐᲡᲚᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲛᲨᲕᲐᲓᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲡ

ლონდონი, 12 სექტემბერი (საკდესი). დღეს ოფიციალურად გამოცხადდა, რომ 11 სექტემბერს ღამით „ლანკასტერის“ მარკის ბომბდამშენებმა დიდი თავდასხმა მოახდინეს რაინის ოლქის სამრეწველო და სარკინიგზო ცენტრ დარმშტადტზე.

„მოსკიტოს“ მარკის თვითმფრინავები თავს დაესხნენ ბერლინს.

ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐᲨᲘ

ᲖᲔᲜᲔᲕᲐ, 12 სექტემბერი (საკდესი). როგორც იუგოსლავიიდან გადმოგვცემენ, იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესი შტაბის 9 და 10 სექტემბრის ცნობაში ნათქვამია, რომ ომის მთელ ასპარეზზე იუგოსლავიელთა ნაწილები ტერიტორიას სწმენდენ ოკუპანტებისა და მოღალატეებისაგან, ათავისუფლებენ ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებს, ხელს უშლიან ვერმანელთა უკანდახევას.

აღმოსავლეთ სერბიაში სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებმა გასწმინდეს მდინარე ტიმოკის მთელი ხეობა და იერიშით დაიკავეს აღმოსავლეთ სერბიის მთავარი ქალაქი ზაჯარი, აგრეთვე ქალაქი კნიაჟევაცი. აფეთქებულია რკინიგზის ხიდები ჰეჩენევაცისა და გრდელიცის მახლობლად (მდინარე მორავაზე).

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

13 სექტემბერს: რუსთაველის სახელობის — „ირმის ხევი“. გრიბოედოვის სახელობის — „უკანასკნელი მსხვერპლი“. ახუნდოვის სახელობის—„5-მანეთიანი საცოლე“. მოზარდი მაყურებლის—ქართული—„ვალია სოკოლოვა“.

ᲙᲘᲜᲝᲔᲑᲨᲘ

13 სექტემბერს: რუსთაველის სახელობის —„დიდი მიწა“. ოქტომბერი—„არინკა“. დამკვრელი—„დიდი მიწა“. კომკავშირელი—ზამთრის—„ორი მებრძოლი“, საზაფხულო—„შვიდი მამაცი“. სპარტაკი—„დიდი ცხოვრება“. ლუქსემბურგის სახელობის—„სიმღერა სიყვარულზე“. 26 კომისრის სახელობის—„არინკა“.

ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲐ

14 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კიროველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) საწარმოებისა და საამქროების პარტორგანიზაციათა მდივნებისათვის შესდგება ამხ. მირინაშვილის კონსულტაცია ქართულ ენაზე. თემა: პარტიული ორგანიზაცია და ეკონომიის რეჟიმი.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲠᲫᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲐ

თეთრი წყაროს რაიონის („კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან). 10 სექტემბერს შესდგა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რაიონული კრება, რომელიც მიეძღვნა რაიონისათვის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემას.

კრება გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) თეთრი წყაროს რაიკომის მდივანმა ამხ. გ. ბოგაძეძ.

საქართველოს სსრ მოწამთმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. გ. ალავიძე საზეიმო ვითარებაში აბარებს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალ წითელ დროშას თეთრი წყაროს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. გურაბანიძეს და ულოცავს რაიონის მშრომელებს ამ საპატიო ჯილდოს. ამხ. ალავიძე გამოსთქვამს რწმენას, რომ თეთრი წყაროს რაიონის მშრომელები სასოფლო-სამეურნეო წელს წარმატებით დამთავრებენ და ჯილდოს ხელიდან არ გაუშვებენ.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა ამხ. გურაბანიძე.—რაიონის მშრომელები,—სთქვა მან, — აღფრთოვანებულნი არიან იმ მაღალი შეფასებით, რაც თეთრი წყაროს რაიონის კოლმეურნეობა, სოფლის მეურნეობის მუშაკთა შრომას მისცეს პარტიამ, მთავრობამ, დიდმა სტალინმა. ამხ. გურაბანიძემ განაცხადა, რომ რაიონის მშრომელები მომავალში უკეთესად იმუშავებენ და არაფერს დაიშურებენ ფრონტისადმი დახმარების გასაძლიერებლად.

კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. ჩოპახაშვილი (ჯორჯიაშვილის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე), თაზაგლოვი (დაღეთ-ხაჩინის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), დალაქიშვილი (ოდის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), მაჩაიძე (კომკავშირის რაიკომის მდივანი), აკოფოვი (დაღეთ-ხაჩინის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი), მიხაილოვი (მანგლისის საღაბო საბჭოს თავმჯდომარე), ბექაური (რაიმიწგანის გამგე).

მათ იკისრეს ახ